მეგობრდეს რომელიმე ყმაწვილს, თუნდაც პაველს. მაგრამ თვითონ გრძნობს, რომ იგი არ მოსწონს პაველს. და, ხაერთოდ, არავის მოსწონს ჩია. ამ სიტყვებთან ერთად ჩიას თვალებში ცრემლი აციმციმდა. მაშინ პაველმ უთხრა გოგონას — ახლა მას შეუძლია ყველას მოუთხროს იმის შესახებ, რომ იგი ძალიან მოეწონა ერთ მეზღვაურს.

საღამოს ისინი პარკში სეირნობდნენ. ჩია იცინოდა, იგი არასდროს არ ყოფილა ასე ბედნიერი. სეირნობის დროს მათ შეხვდათ ჩიას ძმა...

* * *

„ხოჯახო საბჭომ“ დაადგინა, რომ ვერიცასათვის კარგი საქმრო მოეძებნათ, თუნდაც მათი მდგმურის დუშკოს მსგავსი.

დუშკო გულისფანცქალით ისმენდა ამ საუბარს, მას დიდი ხანია უყვარდა ვერიცა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა ქალიშვილისათვის გაემეღავნებინა თავისი გრძნობები.

სულ სხვა ბუნების იყო დუშკოს ამხანაგი მილე. მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო გოგონებთან გამოჯნურება. საკმარისი იყო ორი-სამი სიტყვა და პაემანიც დანიშნული იყო. მაგრამ მას ხშირად ავიწყდებოდა პაემანზე წასვლა. ასე მოუვიდა ვერიცასთანაც...

ვერიცა და მისი მშობლები მოუთმენლად ელოდნენ ამ პაემანის შედეგს. ვერიცასათვის იკერებოდა ახალი კაბები, მთელი ოჯახი დიდ სამზადისში იყო. ყველამ გაიგო, რომ ვერიცამ როგორც იქნა გაიცნო წესიერი ახალგაზრდა.

დადგა პაემანის დღეც. „წესიერ“ ახალგაზრდას კი მშვიდად ეძინა თავის საწოლში. დუშკოზე საშინლად იმოქმედა ვერიცას ტყუილ-უბრალო ლოდინმა; გაღვიძა მილე და აიძულა წასულიყო პაემანზე.

დუშკო იმ დღეს გვიან დაბრუნდა სახლში. კიბეზე ვერიცა და მილე დახვდა. თითქოს მის მოსვლას ელოდაო, მილე გამოეთხოვა ვერიცას და სწრაფად წავიდა. უხერხულ სიჩუმეში დუშკო და ვერიცა ერთმანეთის პირისპირ დარჩნენ. სიყვარულმა თავისი გაიტანა; დუშკომ გაუმხილა ქალიშვილს ხვაშიადი.

კადრი ფილმიდან „წმინდა ლუსიას მარგალიტი“